№ 193
სამშაბათი, 8 სექტემბერი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 193
სამშაბათი, 8 სექტემბერი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, [illegible]
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ დირაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 10 სექტემბერს.

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია" ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

## კბილის ექიმი
## ა. ე. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2 მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.
მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—9)

### პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**პ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო**. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გუროვი.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის-ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

**საღამოობით:**

**გ. მ. მახვილაძე.**—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

**პ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(Ÿ)

### მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის თარჯიმანი მეჯნარგია—ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის მე-II ნაწილის მომრიგებელ-შუამავლის თანამდებობის აღმასრულებლად.

## ახალი ამბავი

⁂ მისის უმაღლესობის სპარსეთის შაჰის მეორე შვილ პრინც შუაუ-სალტანე-მანსურ-მირზასთან გუშინ, 7 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ, სადარბაზოდ იყო კავკასიის მთავარ მართებელი გენერალ ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი. ნაშუადღევის 4 საათზედ მისი უმაღლესობა პრინცი შუაუ სალტანემ კავკასიის მთავარ-მართებელს დარბაზობა გარდაუხადა.

მისი უმაღლესობა ამალით ხვალ, 9 სექტემბერს, კავკავის გზით საზღვარ-გარეთ გაემგზავრება.

⁂ დღეს, 8 სექტემბერს, ქ. გორში დანიშნულია ქართული საქველ-მოქმედო წარმოდგენა არტისტ-ქალის ე. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქმნება ა. ცაგარლის კომედია „ხანუმა".

⁂ 6 სექტემბერს ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა მოქალაქეთა გამგეობის თანამდებობის კაცთა არჩევანები. არჩევანებს დაესწრო გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელე თავ. ა. ა. ბებუთოვი. ამომრჩეველთ გამოაცხადეს, რომ ბევრმა არ იცოდა, თუ დღეს არჩევანები იყო დანიშნული, რადგანაც მხოლოდ წინა დღეს გამოაცხადეს ეს ამბავიო და სთხოვეს, რომ არჩევანები გადადებულ იქმნას, მაგრამ კრების თავმჯდომარემ, მოქალაქეთა მამასახლისის თანამდებობის აღმასრულებელმა ე. ვ. ედიგაროვმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა. პირველ საათზედ ამომრჩეველნი დაიფიცეს, შემდეგ ქაღალდები დაურიგეს მოქალაქეთა მამასახლისის თანამდებობაზედ კანდიდატებისდასასახელებლად. დასახელებულ იქმნენ შემდეგი კანდიდატნი: ედიგაროვი (125 ხმისაგან), ბუდდანოვი (17 ხმ.), ჭილიაევი (23 ხმ.), ასიტოვი (26 ხმ.) და ადამიძე (12 ხმ.) და ექვსიც კიდევ სხვა. კენჭი უყარეს ზემოხსენებულ 5 კაცს. მამასახლისათ არჩეულ იქმნა ი. ს. ბუდდანოვი, რომელსაც 121 თეთრი და 45 შავი კენჭი ამოუვიდა, ხოლო იმის კანდიდატად ე. ვ. ედიგაროვი, (117 თეთრი და 54 შავი კენჭი)

მეორე დღეს, გუშინ, 7 სექტემბერს, უნდა ამოერჩიათ ობოლთა მოქალაქეთა გამგეობის ხაზინადარი კანდიდატიტურთ და ორი ობოლთა სასამართლოს წევრი კანდიდატებით. ხაზინადრად ამორჩეულ იქმნა ივ. ყაითმაზოვი (33 თ. 15 შ.) ხოლო იმის კანდიდატად ნ. ნარიმანოვი (38 თ.—5 შ.), ობოლთა სასამართლოს წევრებად ნ. ნარიმანოვი (25 თ.—6 შ.) და ასიტოვი (20 თ.—11 შ.), ამათ კანდიდატებად: ა. მ. ახნაზაროვი (21 თ.—6 შ.) და მახარობელიძე (20 თ.—11 შ.).

დარჩა ამოსარჩევად მხოლოდ 100 ხმოსანი (დეპუტატი) მოქალაქეთა გამგეობისა. არჩევანები დღეს უნდა იყოს, სამშაბათს, 8 სექტემბერს, ქალაქისავე საბჭოში.

⁂ საგუბერნიო ბეითალი ნ. ნ. კრიდნერი კვირას გორის მაზრაში გაემგზავრა.

⁂ გუშინ გუბერნატორის მიერ დანიშნულმა კომისიამ, რომელიც შედგენილი იყო საგუბერნიო ინჟენერ ბ-ნი ანტონოვისა, ტეხნიკოსების ბ-ნნი ვასილიევისა და გრინიოვისა და პოლიცმეისტრის თანაშემწის ბ-ნ კოვალიოვისაგან გასინჯა ქართველ თავად-აზნაურობის თეატრი და კარგად შეკეთებული აღმოჩნდა ასე, რომ ამ თეატრში წარმოდგენების გამართვას აღარა შეუშლის რა ხ ლს.

⁂ გუშინ ქალაქის გამგეობაში საჯარო ვაჭრობა იყო შიოევის ქარვასლის იჯარით მისაცემად. ეს ქარვასლა იჯარით დარჩა წელიწადში 2,220 მან. იზმაილოვს.

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუ-

## ფელეტონი

### ჩ უ ხ ჩ უ ხ ი

კლდე გარღვეულა... ჩუხჩუხით
გადმოჩხრიალებს ნაკადი,
სიცოცხლე მოაქვს სოფელთან
სამართლის გარდანახადი;
კლდიდამ მდელოზედ ქურციკებრ
ჰხტის და თამაშობს ჩვეული,
ვარდ-ყვავილებსა ამბორს ჰყოფს
ტრფიალით გამოწვეული;
მზეს, მთვარეს, ცისკარს, ვარსკვლავებს,
ჰპარავს ალერსით სხივებსა,
კაბად უკერავს ყვავილებს
თვალ-მარგალიტურ მძივებსა;
მორბის და მთა ველს გვიღვიძებს
სამოთხის ბაღისთანასა,
გულ-მკერდს უკოცნის, ცრემლს აფრქევს,
უგალობს ტკბილად ნანასა;
ჰპირდება ჩაგრულს სიამეს,
სიცოცხლეს სანეტაროსა,
ლხინთა და ლოდთა დამზღვრევას,
უკვდავებისა წყაროსა...
არც შესძახის: „ნაკადო,
ჩუხჩუხი, შენიჭირიმე!
მაპკურნე ცვარნი ცხოვრების,—
გულს მიღრღნის შავი ჭირი მე!
გამომიფხიზლე სიცოცხლე,
სხივიც მოჰფინე ღონესა,
თორემ ვაებამ დამჯაბნა,
კაეშანთ დამიმონესა!
ცა ძაძით გარდამოსილა,
კიდეს ვერა ვჭვრეტ მზიანსა...
წარღვნას ნუ დააჩაგვრინებ
ყანას მადლ-ხორბალიანსა...
ჩუხჩუხით ჰყვავის ძალ-ღონე,
შიგა აქვს ბინა ლხენასა,—
სიკვდილი, ძალი ბოროტი
ვერ ჰბორკავს მისსა დენასა,—
ჩუხჩუხი, მკვირცხლო ნაკადო,
ჩუხჩუხი შენი ჭირიმე,
თორემ დავღონდი, ღმერთმანი,
მტრის გასახარად ვტირი მე!..

გრ. აბაშიძე

### ..„ხვალ გაიგებთ"...
(პაწია ამბავი)

#### I

—„ეჰ! ლამის ნატოს უნახავი მოვკვდე.. ნუთუ არ იცის, რომ ავადა ვარ?.. ალბად არ იცის, თორემ მნახავდა, თუ არა და წერილით მაინც მანუგეშებდა... ისე ვუყვარვარ, რომ... რო გაიგოს ჩემი ავადმყოფობა, თავსაც მოიკლავს... აჰ! ნეტავ შემეძლოს მაინც შევატყობინო, მაგრამ... ვაი თუ გაგვიგონ?!. ან არა-და..." ავადმყოფს კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ხველამ დაუშალა. ჩამომდნარი იწვა ლოგინში და ჰკვნესოდა. სახლში იმის მეტი არავინ იყო, გვერდით მაგიდა ედგა და ზედ წამლები ელაგა.

კარი გაიღო და ვიღაც დაღონდაძმარებული დედაკაცი შემოვიდა.

— თავს შემოგევლოს დედა შვილო, მიეალერსა ავადმყოფს: კაცი ექიმთან გავგზავნე და მალე მოვა... უებარს მკურნალს ამბობენ... ნუკე შინიან, კარგად იქნები...

— ჯანდაბას ჩემი თავი, მე შენ მებრალები... სიბერის დროს... ავადმყოფს გული ამოუჯდა და ცრემლები წამოსცვივდა...

— ნუ შვილო, ნუ... ჯვარიმც გვწერია!..

ავადმყოფს საშინელი ხველა აუტყდა, სულ ერთიანად ანჯღრევდა...

— სად არის ექიმი, თუ მშველით, მიშველეთ... გულ-ღვიძლი ამენთო...

— აი ეხლავე, შვილო, წამლად დაგედოს დედა...

ამ დროს კარი გაიღო და წერილების დამტარებელი შემოვიდა.

თქვენთან წერილი გახლავთ, ბატონო კოტე.

— გვიბოძეთ.

წერილების დამტარებელმა წერილი მისცა და გავიდა. კოტემ დაჰხედა წერილს და სიამოვნების ღიმილი მოუვიდა.

— მადლობა ღმერთს, რომ არ დავვიწყებივარ... ვნახოდ რას იწერება.,.

.... „ჩემო ია-ვარდო კოტე!

რატომ მკვდარი არა ვარ, რომ შენ მაგ დღეში ხარ.. იმ დღიდგან, რა დღესაც შენი ავადმყოფობა გავიგე, მოსვენება აღარ ვიცი... აქამდე თვრამეტჯერაც გნახავდი, მაგრამ ხომ იცი რა ავი ქმარი მყავს... შენ გეთაყვანე, შენს თავს გაუფრთხილდი, ხვალ ათ თუმანს გამოგიგზავნი და კაი ექიმები დაიყენე... ვეცდები როგორმე ჩუმად გნახო, მანამდის კი მშვიდობით... გწერს შენი სამარემდე ერთგული ნატო".

კოტეს სიხარულისაგან არ იცოდა რა ექმნა: ხან ჰკოცნიდა ბარათს, ხან უბეში იკრავდა, მერე ბარათი მაგიდაზედ დასდო, რაღაც ოცნებაში შევიდა და პატარა ხანს უკან ტკბილი ხვრინვაც ამოუშვა...

. . . . . . . . . . . .

#### II

კოტეს სახლთან ეტლი დადგა. დაიძახეს, ექიმი მობრძანდაო.

კარი გაიღო და შემოვიდა კოტეს დედა, თანაც ექიმი შემოჰყვა.

— სად არის ავადმყოფი.

— დაუძინია, მიბრძანებთ გავაღვიძო.

— დეე, ეძინოს, ჯერ უნდა გამოგკითხოთ.

— მიბრძანეთ, შენი ჭირიმე.

— ავადმყოფი თქვენი შვილია?

— დიახ, ბატონო.

— რა მოხელეა?

— ნოქარი.

— ცოლ-შვილიანია?

— უცოლშვილოა. დედა-შვილნი ვართ. ეგ არის ჩემი შემნახავი...

— რას იტკიებს?

— გულს, ახველებს კიდეც... თქვენი წამლობა გვირჩიეს... ანგრემც გაიხარებთ თქვენის ცოლშვილით და დედა-ღვთისა შეგეწევათ, შემეწიე ქვრივ-ოხერს...

ჩაუვარდა ფეხთ ქვეშ და მუხლებზედ მოეხვია. ექიმმა ააყენა და დაამშვიდა.

— ნუ გეშინიან, დედი, საშიში აქ არა არისრა.,. გამლევთ პატიოსანს სიტყვას, ვეცდები მორჩენას და ნება უფლისაა...

— ღმერთმან გადღეგრძელოს საწყლების სანუგეშოდ..

— ეს რაღა წამლებია?..

— ესენი ზოგი ფერშლისაა, ზოგიც შინაური წამლებია... ვერა უშველა რა..

ექიმი მივიდა მაგიდასთან, უნდოდა წამალი აეღო გასასინჯათ, მაგრამ.. უცებ შეკრთა. შედგა და ბარათს თვალს არ აშორებდა.

— ამ წერილს აქ რა უნდა?.. ეს ხომ ჩემის ცოლის ნაწერიაო.?!—ატაბუტად წაილუღლუღა და აიღო ბარათი.

დაღონებული კოტეს დედა გაოცებული უმზერდა.

ექიმს უნდოდა წერილი ჯიბეში ჩაედო, მაგრამ გულმა ველარ მოუთმინა და დაიწყო ჩუმად კითხვა. თან კითხულობდა, თან სიბრაზისაგან კბილებს აკრაჭუნებდა.. თავს ბრუ ეხვეოდა... თან ჭირის ოფლს ასხამდა.

კოტეს დაძმარებული დედა გაოცებული შესცქეროდა და ვერა გაეგორა.

კოტემ გაიჩუჩუნა.

— გაიღვიძა, ბატონო.

— ვინ გაიღვიძა.

— ჩემმა ავადმყოფმა.

— მემრე მე რა?

— უწამლეთ.

— ჩემს მტერს?..

— რას ბრძანებთ, ბატონო?

— ხვალ გაიგებთ...

ექიმმა აიღო ქუდი და მოჰკურცხლა..

. . . . . . . . . .

დ—ლი ვანო

ნებულმა ი. ს. მედვედევმა გუშინ გაგზავნა თურქესტანში ნ. ნ. სპეშნევი იქაურის ვენახების დასათვალიერებლად და ვაზის ავადმყოფობის შესასწავლად.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზეითლო განყოფილების უფროსი ბ-ნი პეშტიჩი კვირას, 6 სექტემბერს, პეტერბურგიდგან ჩამოვიდა ატენის ხეობაში და წავიდა იკნევის სადგურის დასათვალიერებლად.

⁂ 5 სექტემბერს ტფილისის სასამართლო პალატამ განიხილა საქმე ილია ადუაშვილისა, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ ამა წლის 3 თებერვალს გაძარცვა და გააუპატიურა ვ—ოვისა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლის ძალითაც ბრალდებულს უნდა ჩამოერთვას ყოველივე უფლება და გაიგზავნოს საცხოვრებლად ციმბირში.

⁂ წელს ტფილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში შესვლის ეგზამენი დაიჭირა 105 კაცმა; მათ შორის 57 ამიერ კავკასიელია, 25—ჩრდილოეთ კავკასიელი და 23—რუსეთის სხვა ადგილებიდგან მოსული. მიღებულ იქმნა სულ 25 კაცი.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია სოფ. თეანეთში საქმეთა განხილვას დაიწყებს 12 სექტემბერს და დაჰყოფს იქ 15 სექტემბრამდე.

⁂ 15 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში განხილული იქმნება საქმე ვ. გ. მამიკონოვისა, რომელსაც მევახშეობა ჰბრალდება.

⁂ ხუთშაბათს, 10 სექტემბერს, აკურთხებენ ახალს სკოლას, რომელსაც სახელად ეწოდება ერეკლეს სკოლა და რომელიც ქალაქის თვითმმართველობამ დააარსა ავლაბარში, კახეთის ქუჩაზედ, ივანოვის სახლში.

⁂ ბაქოში როცა 7 სექტემბერს საქონლის მატარებელი მივიდა, ჰნახეს, რომ ვიღაცას ერთის ვაგონიდგან მოეპარა ერთი ყუთი სავსე უბის საათებით.

იმავე დღეს, ღამის 2 საათზე, თაუზის სადგურთან საქონლის ერთი მატარებელი დაეჯახა საქონლისავე მეორე მატარებელს. 6 ვაგონი დაიმსხვრა. ხალხის მატარებელი ძეგამის სადგურზედ 1 საათითა და 35 წუთით გააჩერეს, ვიდრე გზას გასწმენდავდნენ.

⁂ 20 სექტემბერს ქალაქის საბჭოს დარბაზში ტფილისის ვაჭრების საგანგებო კრება მოხდება. ამ კრებაზედ ლაპარაკი იქმნება სავაჭრო სასწავლებლის დაარსების შესახებ. აზრადა აქვთ ჯერ-ჯერობით დააარსონ მოსამზადებელი პირველი და მეორე კლასები. წესდების ძალით სავაჭრო სასწავლებელი შესდგება შვიდის კლასისაგან. ორ უკანასკნელ კლასში საზოგადო საგნებს გარდა ასწავლიან სპეციალ საგნებსაც. სასწავლებელში მიღების დროს უპირატესობა ვაჭრების შვილებს მიეცემა.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას ამ შემოდგომაზედ პირველი კრება ექმნება ოქტომბრის პირველ რიცხვებში. ამ კრებაზედ, სხვათა შორის, ლაპარაკი იქმნება იმის შესახებაც, თუ რამ გამოიწვია უწესოება ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში და რა ღონე უნდა იქმნას ნაღონები, რომ შემდეგში ასეთი ამბავი აღარ განმეორდეს ხსენებულ სასწავლებელში.

⁂ ქალაქის გამგეობამ დაადგინა შეაკეთოს კახეთის ქუჩა. შეკეთებული იქმნება აგრეთვე ავლაბრისა და მნაცაკანის ხიდებიც.

⁂ გაზ. „ახ. მიმ." სწერს, რომ ქუთაისის ოთხ-კლასიანის კერძო სასწავლებლის პატრონმა ბ-ნმა ჯორჯიკიამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებაო, რომ ამ სასწავლებელს მთავრობის პროგიმნაზიების უფლება მიენიჭოს. ამ შუამდგომლობას, როგორც ისმის, თავად-აზნაურობაც მხარს უჭერს.

⁂ საგუბერნიო ადმინისტრაციამ, გაზ. „ახ. მ."-ს სიტყვით, მიჰმართა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას და სთხოვა, რომ აღდგენილ იქმნას ხაშურ-ბორჯომის შარა-გზა, რომელიც რკინის გზის გაყვანის შემდეგ გააუქმეს.

⁂ გურია. წრევანდელი წელიწადი მოსავლის მხრივ საშუალოზედ ნაკლები იქნება და ისიც სათუოა, რადგანაც მოსავლის შეკრებისა და შენახვის დროს, ვინ იცის, რა ამინდები იქნება. ზაფხულის დასასრულშივე საგრძნობლად აცივდა და ხშირი წვიმები დაიწყო, რაც, რა თქმა უნდა, მოსავლის დამთავრებას და თავისს დროზედ დამწიფებას ხელს შეუშლის. განსაკუთრებით დაზარალდება მთის ყანები, რომელიც უიმისოდაც სამწუხარო მდგომარეობაშია. აღარც ადესის ვაზს ასხია ჩვეულებრივად და რაც არის, ისიც რიგიანად ვერა მწიფდება. ამიტომ ღვინოსაც ცოტას და შედარებით უფრო მდარეს უნდა მოველოდეთ. უბედურების დასამთავრებლად ბოლო ხანებში ქვენა ქარმაც არა იშვიათად დაიწყო ქროლა, ყანებსაც ანადგურებს და ყურძენსაც.

შარშანდელ ადრეულ ზამთრისაგან დაშინებულნი წელს შეშის ძებნას ადრე შეუდგნენ, მაგრამ ვაი ამისთანა ძებნას! არც სახაზინო და არც კერძო მემამულეთა ტყეებში ხეირიანი საურმე გზა არ არის. ათასნაირად ნაყიდი და ნავაგლახი შეშა მხარით უნდა მოზიდონ უმთავრესს საურმე გზაზედ. ეს კიდევ რა უნდა იყოს, ზოგიერთ სახაზინო ტყეში შინაურ საჭიროებისათვის შეშის მოჭრის ნებას არც კი იძლევიან. ხმელსა და წაქცეულ ხეებს მოგკიდით, თუ გნებავთო. ზოგიერთ სოფლებს მარტო ოდენ სახაზინო ტყეები აკრავს და ისიც ისეთი, რომლებიც ცოტა ხნის წინად სასოფლონი ყოფილან და შემდეგ სახაზინოდ ქცეულან. ნეტა, ტყეში რომ მთელის სოფლისათვის საშეშედ სამყოფი ხე არ გახმეს და არ წაიქცეს, იმიტომ სოფელი ზამთარში სიცივით უნდა ამოსწყდეს, სასყიდლადაც ველარ უნდა იშოვოს ადამიანმა შეშა?., კანონი ნეტა რას ამბობს ამის შესახებ?!.

⁂ სოფ. საგარეჯო. 19 მკათათვეს ალექ. მჭედლიშვილის და არ. ავალიშვილის მეთაურობით აქაურმა სცენის მოყვარეთ ქ-ნ ელ. ვარშაკიძის მონაწილეობით წარმოადგინეს მოჩხუბარიძის „არსენა" და ვოდევილი „ადვოკატთან". წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. საზოგადოება მცირედ ყურადღებას აქცევს აქ წიგნთ-საცავს და აგრეთვე წარმოდგენებს, მაგრამ ჩვენი ინტელიგენცია რის ვაი-ვაგლახით ალინდილებს წიგნთ-საცავს. მთელი შემოსავალი წიგნთ-საცავის გამგეს გარდაეცა.

—

**შეცდომის გასწორება**: წარსულ №-ში დაბეჭდილ იმ შემოწირულების სიაში, რომელიც „წ.-კ. გამავრცელებელს საზოგადოებას" ჰოუვიდა ახალციხიდგან მეფე ერეკლეს ფონდის სასარგებლოდ, გამოტოვებულია სოლომონ მიხეილის ძის მაჩაბლის გვარი, რომელსაც 3 მან. შეუწირავს.

## წერილი ზესტაფონიდგან.

ჩვენი ბაზარი.—„ერთი „ხალხსაც" ვჰკითხოთ"!—ახირებული კრება ახირებულ ბატონებისა.—სითამამეც ასეთი უნდა.—დასკვნა.

გააქვთ და გამოაქვთ ჩვენი ბაზარი კალმოსანთ და არა-კალმოსანთ, ვისთვისაც-კი მიუცია ღმერთს ენა! არა, ქვევით სჯობს, არა, ზევით, ჩემკენ, არა შენკენო. უფრო ხშირად სწერენ: „აი, ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი ადმინისტრაცია, რომ ბაზარი ზევით გადმოაქვსო"!... დასწერს ერთი (რასაკვირველია, ზედაუბნელი). „აცოცხლოს, აცოცხლოსო", უმატებს მეორე, მესამე, მეოთხე... სამაგიეროდ ქვედა-უბანსაც არ სძინავს: „არა, აქა სჯობია, თავობიდგან აქა ყოფილა, ნუ გვღუპავთო", წუწუნებს ქვედა-უბნელი. ორივეს-კი თავ თავიანთი მუცელი სტკივათ. ზედა-უბანს სურს მიღნავებული სული ბაზრის გადატანით მოიბრუნოს, ხალხი თავისის დუქნის წინ მიიტყუოს, ვითომდა შენთვის აქ სჯობიაო, ქვევით სივიწროვე არისო; აქ ფართო ადგილია, წყაროა, საწონია, აქ გირჩევნოდესო. ქვედას არ უნდა დაჰკარგოს ძველი დიდება და მით უფრო და უფრო გაღონიერება ჰსურს, დაბა ორად გაყოფილა, ერთი-მეორეს ეკინკლავება და ორივე მხარე წინ და წინ გამარჯვებას აცხადებს. სად სჯობია ბაზარი? ჰკითხეთ აქაურს ვაჭარს. იქ, სადაც მას უფრო მოეთბობა. ეს ასეც უნდა იყოს. ერთს წამს დავანებოთ თავი ამ ვაჭრულს მხარეს და საქმეს სხვა მხრიდგან მოვუაროთ. ის ადგილი, სადაც ეხლა კვირა პარასკევობით ბაზრობა იმართება, არის ზესტაფონის შუა-ბაზარი და მიკრულია ზედ რკინის გზის სადგურზედ. ღვინო, ფრინველეულობა, ხილი, ქსოვილი და სხვა ამისთანები, რაც ჩამოაქვს ბაზარში სოფლელს, სწორედ აქ ჰპოულობს მუშტარს. რკინის გზის სადგური და შუა-ბაზარი ხელს უწყობს ხალხის შეგროვებას და ეს უკანასკნელი-კი იწვევს საქონლის ყიდვა-გაყიდვას. ახლა გავრეკოთ ხალხი ადმინისტრატიულის წესით ზემო-უბანში, როგორც ამას იმედოვნებენ ზოგიერთი აქაური „მსხვილ ფეხები", რა აქვს იქ ხალხს? სადგურზედ მოწყვეტილია, შუა-ბაზარს დაშორებულია, ქალაქსა და საბაზრო ადგილს შუა წამ და უწამ დასრიალებენ მატარებლის ქვაბები, ან ჩარაზმულია ვაგონები. მიბრძანდით და ივაჭრეთ! აი, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი „არა-მკითხეები" ლამის ტყავიდგან გამოძვრნენ, გადაიტანეთ ბაზარი, წაგართვითო, მაგრამ მგონი მანამდე ბევრი წყალი ჩაივლის ყვირილაში, სანამ ხალხი ძველს ბაზარს დასტოვებს. ჩვენ არც-კი გვესმის, რა უფლება გვაქვს გავრეკოთ ხალხი იქ, სადაც მას შემოსავალი ერთიორად მოაკლდება და უიმისოდაც გალატაკებული ცხოვრება, უფრო ულატაკდება? არა, ბატონებო, ერთი თითონ ამ „ხალხსაც" ვკითხოთ, სად უჯობს მას ვაჭრობა, სად უფრო შეემატება მის გამოხრულს ჯიბეს, თორემ მარტო „მე ვარ და ჩემი ნაბადიო", ეს ვერაფერი საბუთია!...

ეს სულ კუჭის საქმეზედ ვილაპარაკეთ, ეხლა ერთი ჭკუა-გონების სალაროსაც მივხედოთ, თორემ მგონი წაგვლეკავს ზოგიერთ ვეჟ-ბატონების ან მუქარა ზარი და ზათქი, ან იმათი ფილოსოფია (მაგალითად, დასტამბულ სიტყვის მნიშვნელობის შესახებ). ღმერთო, შენ გადაგვარჩინე ხიფათს, გული მაგარი მოგვეცი და წიგნთ საცავის კარებიც შევაღოთ. 17 აგვისტოს წევრთა კრება მოხდა. ეჰ, თურმე კრებაც არის და კრებაც! იმის მაგიერ, რომ წიგნთ საცავის ავ-კარგის შესახებ გველაპარაკნა, „ივერიის" კორრესპონდენტის ამბებით გამოგვიჭედეს ყური ორიოდე ბატონებმა. „იმ წერილის დამწერი ძლიერ „უტახ(ქ)ტოთ მოიქცაო"... დაიწყო ერთმა. მეორემ დასტამბულ სიტყვის მნიშვნელობა აგვიხსნა და გრძელი სიტყვა იმითი დააბოლოვა, რომ თუ კორრესპონდენტმა ჩვენ მიერ ნაბოძების პროგრამით არ სწეროს, იმისი ნურაფერი გვწამსო და სხვა. აგაშენათ ღმერთმა! ასეთი მწერლები თქვენში მოძებნეთ, ბატონებო, და თქვენი წყალობა პროგრამა, თქვენი ნაკურთხი ფირმანიც იმათ მიეცით!.. ჩვენგან-კი შორს ასეთო ჭკუის დამრიგებელნო!..

ა. არაბიძემ სთქვა, მე 30 თუმანი არ მითხოვიაო, ეს კი სწორედ ახალზედ უახლესი ამბავია! კაცმა უარჰყო ის, რაც ასე თამამად გამოგვიცხადა ამ კრების წინა დღეებში: მე, ვ. ა—შვილს, მ. გ—ძეს, მ. ჭ—ს, ბ. დ—ძეს, ბ. გ—ძეს, თვით ბ-ნს ს. ელიაშვილს და კარგა ხანსაც გვალაპარაკა ამ საგანზედ. აი, სითამამეც ასეთი უნდა!

ახირებულმა კრებამ ოთხი საათი სულ ამ გვარად იყაყანა, აირჩია სამი კაცი გამგებად და შაბაშ! წესდების განხილვა, ჟურნალ გაზეთების გამოწერის საქმე, გამგებისათვის წესრიგი და სხვაო, იკითხავთ. არა, არა, ჩვენ მაგისთვის არ შევკრებილვართ და აღარც რამე გადაგვიწყვეტია. ა. არაბიძე 30 თუმნიდგან 18-ზედ ჩამობრძანდა და მეწიგნთ-საცავედაც დარჩა. ეს როგორ-და მოხდაო, იკითხავთ. ღმერთმა იცის! ჩვენ-კი მოგახსენებთ ერთს დასკვნას, რომლის სიმართლესაც თანდათან ვრწმუნდებით: დასტამბული სიტყვა დღეს ისეთი მათრახია, რომ შეუბრალებლად სწვავს კანს ყველას, რა სქელ-კანიანიც უნდა იყოს ორფეხა არსება...

ვ. სეფისპირელი

## რუსეთი

—

პეტერბურგის ყრუ-მუნჯთა სასწავლებლის გამგეობა შეუდგა ცნობების შეკრებას იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში არიან მთელს იმპერიაში ყრუ მუნჯნი და სხვა-და-სხვა ადგილას რა ღონეა ნაღონები მათის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ ცნობების შეკრებისთანავე გამგეობას აზრადა აქვს ლაპარაკი აღძრას იმის შესახებ, რომ ყრუ მუნჯთათვის ახალი სასწავლებლები იქმნას დაარსებული და საზოგადოდ ყრუ-მუნჯთა სწავლა-განათლების საქმე უკეთესად იქმნას მოწყობილი.

— რუსეთის ფერშალთა შორის ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სრულიად რუსეთის ფერშალთა კრება იქმნას გამართული. კრებამ უნდა შეიმუშაოს ის ღონისძიებანი, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი იქმნება ფერშალთა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესობა.

— გაზ. „С. От." სიტყვით, სამხრეთ რუსეთის მთა-მადანთა მწარმოებელთ შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ მათ რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას მთა-მადნეულობის გამოფენა გამართონ ხოლმე.

— სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რომ სამხედრო უწყებას აზრადა აქვს რამდენისამე ხნით ყოველ წლივ საზღვარ-გარეთ გაჰგზავნოს ხოლმე რუსეთის კადეტთა კორპუსში სწავლა დამთავრებულნიო.

— საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას დედათა გიმნაზიებში მეცხრე კლასი, რომელშიაც საპედაგოგიო საგნებს ასწავლიან.

## უცხოეთი

—

**ავსტრია.** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ იმ დროს, როდესაც მკვლელმა მახვილი დასცა ავსტრიის იმპერატრიცას ამ უკანასკნელთან იყო მხოლოდ ერთი სეფე ქალი გვარად სტარაი. აი რა უამბნია ქ-ნ სტარაის გაზ. „Neve Freie Presse"-ს ერთის თანამშრომლისათვის: „ჟენევაში პარასკევს მოვედით, ამ დღეს იმპერატრიცამ ნავით ისეირნა და ადოლფ როტშილდის ბაღი დაათვალიერა. მეორე დღეს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზედ, ტბისაკენ გავემართედ, რათა გემში ჩავმჯდარიყავით და კოში წავსულიყავით. რა წამს „Quai Mondlanc"-ი გავიარეთ, ვიღაც კაცი დავინახე, რომელიც ნავთსადგურიდგან ჩვენკენ მოეშურებოდა. როდესაც მოგვიახლოვდა, თითქოს ფეხი დაუსხლტაო, უცბად წაბორძიკდა და იმპერატრიცას ხელი მოარტყა. შემდეგ უცნობი პირდაპირ გაიქცა. მე ყურადღება არც-კი მივაქციე უცნობის ასეთს საქციელს, რადგანაც მეგონა უცაბედად მოუვიდა-მეთქი. ცოტა ხანს შემდეგ იმპერატრიცა მოტრიალდა და მიწაზედ დაეშვა. მე ხელი ვტაცე და ვკითხე: „თქვენო უდიდებულესობავ, უქეიფოთ ხომ არა ბრძანდებით"-მეთქი. „მე თითონაც არ ვიცი, ცოტათი გული მტკივა", მომიგო იმპერატრიცამ. ამისდა მიუხედავად სიარული მაინც განვაგრძეთ. როდესაც გემზედ ავედით იმპერატრიცამ მკითხა: „გაუვითლებული ხომ არა ვარო?" ამ სიტყვებთან ერთად გული წაუვიდა და იქვე სკამზედ დაეშვა. ვერ მეგონა, ვერცა წარმომედგინა, რომ უცნობს რაიმე ბოროტ-მოქმედება ჩაედინა, ამასთან სისხლიც არსად სჩანდა. როდესაც გონს მოვიყვანეთ იმპერატრიცამ მკითხა „რა მოხდაო?" მაგრამ ეს იმის უკანასკნელი სიტყვები იყო: იმპერატრიცას ხელ-ახლა გული წაუვიდა. კაპიტანმა

ჩემის თხოვნით გემი უკან დააბრუნა: გრძნობა დაკარგული იმპერატრიცა სასტუმროში გადავიყვანეთ, მაგრამ რამდენისამე წუთის შემდეგ გარდაიცვალა კიდეცა".

— იმპერატრიცის მოკვლის ამბავმა ჟენევის მცხოვრებლნი ძალიან გააბრაზა იტალიელების წინააღმდეგ. ხალხმა დევნა დაუწყო იტალიელებს. სადაც მოასწრებდა, ლანძღვა-გინებით ისტუმრებდა. ზოგგან ბრბომ ცემაც-კი დაუპირა იტალიელებს, მაგრამ პოლიციამ ნება არ მისცა. ვენასა, პრატერსა, ბუდა-პეშტსა, ლეიბახსა, ტრიესტში იტალიელნი ყველა ქარხნებიდგან გარეკეს. ტრიესტში ბრბომ იტალიის საელჩოს სადგომის ფანჯრები და კარებები გამოამტვრია. ხალხი ქუჩა-ქუჩა დადიოდა და იძახდა: „შორს ჩვენგან იტალიელნი“-ო. ლეიბახში ხალხმა იტალიელებს ქვები დაუშინა. ზოგი იტალიელი უკვე წავიდა ავსტრო-უნგრეთიდგან.

— ფრანგული გაზეთები იუწყებიან, რომ პარიჟის პოლიციამ ჯერ ისევ 25 ივლისს მიიღო წერილები, რომელშიაც ატყობინებდნენ, რომ სხვა და სხვა ეროვნების ანარქისტებს ციურიხში კრება აქვთო: ამ კრებაზედ ანარქისტებს გადაუწყვეტიათ, ევროპის ზოგიერთის მეფის და პრეზიდენტის ფელიქს ფორის მოკვლა. კრებას, სხვათა შორის, დასწრებია საფრანგეთის პოლიციის ერთი აგენტიც, რომელსაც მეორე დღეს ყოველივე იქ მომხდარი უცნობებია პოლიციის უფროსის პიუნზარისათვის. კრებაში ცამეტ იტალიელ ანარქისტს მიუღია მონაწილეობა, მათ შორის, პაჩჩინის და პუნიცის და ანარქისტ-ქალს ერცელიას. პოლიციამ ამ დღიდგან ფელიქს ფორს კაცები მიუჩინა, რომელნიც პრეზიდენტს ყველგან თან დასდევდნენ და თვალს ადევნებდნენ გამკლელ-გამომკლელთ.

—

**კრიტი.** გაზეთები იუწყებიან, რომ ოსმალებმა ძალად წააქეზეს და ამოაწყვეტინეს კანდიის მაჰმადიანებს ადგილობრივი ქრისტიანები და ინგლისის ჯარის-კაცებიო. იმ დღეს, რა დღესაც არეულობა მომხდარა ქ. კანდიაში 4000 ოსმალელი ჯარის-კაცი ყოფილა, მაგრამ მათ თითიც არ გაუნძრევიათ და არაფერი ღონე არ უღონიათ მშვიდობიანობის აღსადგენად. გერმანიის, ინგლისის, საბერძნეთის და ესპანიის საელჩოების შენობებისათვის მაჰმადიანებს ცეცხლი წაუკიდებიათ, ხოლო ინგლისის ელჩისთვის ყელზედ რაღაც წაუჭერიათ და დაუღრჩვიათ.

—

**ინგლისი.** მაშინ როდესაც გაზეთები სიხარულით ეგებებიან რუსეთის წინადადებას იარაღის აყრის შესახებ, ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი თავისას არ იშლიან და სულ წინააღმდეგს გაიძახიან. მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რა შინაარსის სიტყვა წარმოსთქვა ამას წინად გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ მეორემ. მხოლოდ ჯარითა და გალესილის ხმლით შეიძლება მშვიდობიანობის დამყარება ქვეყანაზედაო, განაცხადა იმპერატორმა. აი, ეხლა კიდევ რა უთქვამს ინგლისის ახალშენთა მინისტრს ჩემბერლენს ერთის გაზეთის თანამშრომელისათვის: „რუსეთის წინადადებას ბევრი დაბრკოლება შეხვდება. იმის განხორციელება ძნელი, თითქმის შეუძლებელიც არის. კარგს იზამს, რომ რუსეთმა, უპირველეს ყოვლისა, თვით შეამციროს ჯარი და ხელი აიღოს აგრესიულ პოლიტიკაზედ. რაც შეეხება ინგლისს, მას არ შეუძლიან თავისი ფლოტი არ გაამრავლოს და არ გაადიდოს.“

## ნაკვესი

— ბ-ნო იაკინთე, რატო ცოლს არ ირთავთ?

— ცოლიანობა ან სამოთხეა და ან ჯოჯოხეთი. სამოთხისა ღირსი არა ვარ და ჯოჯოხეთში ყოფნა-კი არ მინდა. აი, ამიტომ არ ვირთავ ცოლს.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟის გამოფენისათვის, რომელიც 1900 წელს იმართება, უნდა აშენდეს მშვენიერი სასახლე, რომელსაც სახელად ეწოდება „ელექტრონის სასახლე“. სასახლეს ააგებენ მარსის ველზე. სასახლეს 120 ადლი სიგრძე ექმნება. ელექტრონის მანქანას 12,000 ცხენის ძალა ექმნება. ამ სასახლის აგება და მანქანების მოწყობა ჩაბარებული აქვთ ინჟენერებს ენასსა და პოლენს. ღამე მთელი სასახლე განათებული იქმნება ელექტრონით. სასახლის ბანიდგან ყოველ მხარეს გადმოვა შადრევანები და როცა ელექტრონით გაანათებენ, მშვენიერს სანახავს წარმოადგენს.

* * *

ინჟენერის ანდრეს ძმას წერილი მოსვლია ველმანის ექსპედიციის უფროსის თანაშემწის ბაიდვინისა. ბაიდვინი სწერს ანდრეს ძმას, ფრანც იოსების კუნძულებზედ, ტეგეტგოფის კონცხის მახლობლად ვნახეთ ადამიანის კვალი და მე ჩემის მხრივ დარწმუნებული ვარ, რომ ეს კვალი ანდრესი უნდა იყოს, რადგანაც აგერ ოც-და-ხუთი წელიწადია, რაც აქ არც ერთი გემი არ მოსულა. ექსპედიციის უფროსი ველმანი-კი იმ აზრისაა, რომ ჩვენ მიერ ნანახი კვალი ნორვეგიელ მეთევზეებისა უნდა იყოსო.

* * *

ვენგრიის ერთს პატარა ქალაქში ეხლახან გარდაცვლილა ერთი მოხუცი დედაკაცი რეგინა ცეიკსნერი, რომლის შვილებისა, შვილი-შვილებისა და შვილი-შვილი-შვილების და ამათ შვილების რიცხვს 145-მდე მიუღწევია. მოხუცი ბებია 111 წლისა გარდაცვლილა. სამგლოვიარო განცხადებაზე, რომელიც ნათესავთა ნაცნობთ გაეგზავნათ, ხელი მოაწერეს განსვენებულის 3 ვაჟიშვილმა, 2 ქალი-შვილმა, 35 შვილი-შვილმა, 90 შვილი-შვილი-შვილმა, 12 შვილი-შვილი-შვილი-შვილმა და 3 „შვილი-შვილი-შვილი-შვილი-შვილმა“! რეგინა დეისკნერი ვენგრიის 5 მეფეს მოსწრებია: იოსებ II, ლეოპოლდ II, ფრანც 1, ფერდინანდ V და ფრანც იოსებს.

* * *

ამერიკაში ჯერ ბოლო ვერ მოუღეს ეგრედ წოდებულს ლინჩის სამართალს. არკანზასის შტატის ქალაქ კლარენდონში ეხლახან თოფით მოჰკლეს მდიდარი ვაჭარი ორრი. გვამი მიიტანეს ხუთ ზანგზე და ორრის ცოლზე. ექვსივენი ციხეში ჩასვეს და ყველანი გამოტყდნენ თავიანთ დანაშაულში. ქ-მა ორრმა თურმე თავისი ქმარი სიძუნწის გამო შეიძულა და 400 მანათს დაჰპირდა ზანგებს ქმრის მოკვლისათვის. ზანგები თურმე გველების, თავებისა და ხვლიკების ნახარშს ურევდნენ ორრის საჭმელში და ჰფიქრობდნენ—ეს საწამლავი მოჰკლავსო, მაგრამ ამან ვერ გასჭრა. მაშინ ზანგებმა გადასწყვიტეს ორრის მოკვლა და კიდევაც შეასრულეს თვისი განზრახვა. ეს რომ ქალაქის მცხოვრებლებმა შეიტყეს, 500 კაცი თავს დაეცა საპატიმროს, ჯერ ტელეფონისა და ტელეგრაფის მავთულები გადასჭრეს, რომ შერიფმა ჯარი ვერ მოიხმაროსო, და მერე საპატიმროში შევიდნენ. ზანგები იმ წამსვე ჩამოარჩვეს და ორრის ცოლს ძალით საწამლავი დაალევინეს.

* * *

რუსეთის ქალაქ კურსკის მახლობლად ამ დღეებში გარდაცვლილა 154 წლის მოხუცი. ამ მოხუცს ბევრჯერ უთქვამს, ამდენ ხანს იმიტომ ვიცოცხლე, რომ მასაქდე, რაც 25 წლის შევსრულდი, არ მახსოვს, რომ როდესმე ისეთი საჭმელი მეჭამოს, რომ სულ ახალი არა ყოფილიყოს, არ მიჭამია აგრეთვე არაფერი არც მჟავე, არც მლაშე და არც ლორი. ასე იქცეოდა მოხუცი 150 წლამდე და იმედი ჰქონდა, კიდევ 50 წელს მაინც ვიცოცხლებო, მაგრამ ამ დროს უბედურება ეწვია, რაც ფული ჰქონდა, თითქმის სულ ასესხა თამასუქით ერთს ვაჭარს; ეს ვაჭარი გაკოტრდა და ვალი ვეღარ გადუხადა. მოხუცს შეძლება აღარა ჰქონდა ისე ეცხოვრა, როგორც მოისურვებდა, ან როგორღა შეეძლო საჭმელის არჩევანში შესულიყო. ეს იყო მიზეზი, თუ დარდი ფულის დაკარგვისა, მოხუცი მალე დასუსტდა, დაუძლურდა და 4 წლის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც.

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო პირველი № ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიის „ყოველ-თვიურის ბიულეტენისა“. ეს ნომერი შეიცავს ცნობებს წვიმისა და ჰავის შესახებ ივლისის თვეში. ბიულეტენი გამოვა ყოველ თვე, რომელშიაც მოთავსებული იქმნება ცნობები წვიმისა, ჰავისა, ამინდისა სეტყვისა, თოვლისა, მიწის-ძვრისა და სხვათა სამეტეოროლოგიო მოვლენათა შესახებ. გარდა ამისა, მოთავსებული იქმნება დრო გამოშვებით სასოფლო სამეურნეო ცნობანიც ნათესისა, ჯეჯილისა და საზოგადოდ მოსავლის შესახებ. ბიულეტენს ბოლოში რუკა აქვს ჩართული.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 სექტემბერი

**ბათუმი.** 5 სექტემბერს, საღამოთი, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული მობრძანდნენ ბორჯომიდგან ბათუმში. მატარებელი მივიდა ნავთ-სადგურამდე, სადაც იდგა გემი „შტანდარტი“. მათნი უმაღლესობანი ჩასხდნენ გემში და დილის 9 საათზე წაბრძანდნენ ყირიმისაკენ.

**კანდია.** ინგლისელებს ხელში გადასცეს 42 დამნაშავე უწესოების ჩამდენნი. ჯევათ-ფაშამ შეატყობინა ინგლისის ელჩს კონეაში: იმის გამო, რომ ადმირალის ნოელის მიერ სასტიკის კილოთი მოწერილი წერილი მომივიდა, ვშიშობ, რომ დაუყოვნებლივ არ გაასამართლონ დამნაშავენი და გთხოვთ, საქმის განხილვა გადასდოთ იმ დრომდე, ვიდრე პასუხი მოგვივა იმ თხოვნაზე, რომ ეს საქმე ოსმალეთისა და ინგლისის შეერთებულმა სასამართლომ განიხილოს. ხმა დადის, რომ ინგლისის ადმირალმა განაცხადა, სხვათა სამხედრო გემები და ჯარი კანდიიდგან წაიყვანონ და იქ დარჩეს მხოლოდ ინგლისის გემები და ჯარი.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭომ დაავალა იუსტიციის მინისტრს მოუწოდოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულს კომისიას, რომელმაც თვისი აზრი უნდა გამოსთქვას დრეიფუსის საქმის ხელ-მეორედ განხილვის შესახებ. ცურლინდენმა და ტილლემ, რომელთაც მინისტრთა საბჭოს დარბაზი მიატოვეს კრების გათავებამდე, სამსახურს თავი დაანებეს.

**პარიჟი.** ოფიციალურად გამოცხადდა შემდეგი: იუსტიციის მინისტრმა განმარტა, რაც-კი გამოარკვია დრეიფუსის საქმის განხილვამ და სთქვა, რომ უფლება არა მაქვს გამოვთქვა რამ იმ თხოვნების შესახებ, რომლებითაც გვთხოვენ დრეიფუსის საქმე ხელ-მეორედ იქმნეს განხილულიო, ვიდრე არ შევიტყობ კანონის ძალით სამინისტროსთან დაარსებულ კომისიის აზრსაო. საბჭომ ნება მისცა ამ კომისიის მოწოდებისა.

**ვენა.** იმპერატორი ვილჰელმი მობრძანდა. რკინის გზის სადგურზე დაუხვდა იმპერატორი ფრანც იოსები. დილით მოვიდნენ მეფე რუმინიისა, დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე და დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

**ლონდონი.** „Daily News“-ს დეპეშით სწერენ რომიდგან: კანცელარიამ მიჰმართა დიდს სახელმწიფოებს და წარუდგინა შემდეგი აზრი; 1) გერმანია და ავსტრო-უნგრეთი კვლავ მიემხრნენ ევროპის კონცერტს კრიტის საქმეში; 2) დიდმა სახელმწიფოებმა მოსთხოვონ ოსმალეთს წაიყვანოს თავისი ჯარი და მოხელენი კრიტის კუნძულიდგან და დაჰპირდნენ, რომ დაიცავენ ოსმალეთის უფლებებს; 3) დაუყოვნებლივ გამოცხადდეს კუნძულის ავტონომია (თვით-მმართველობა) და დანიშნულ იქმნას გუბერნატორი, ხოლო დროებით დარჩეს აქ საერთაშორისო სამხ[ე]დრო გარნიზონი.

**კანდია.** ადმირალმა ნოელმა ხელმეორედ წერილით მოითხოვა, მუსულმანებმა იარაღი გადმოგვცენო.

**ლონდონი.** „Morning Post“-ს დეპეშით სწერენ კაიროდგან: „სირდარს მიეცა სრული განუსაზღვრელი უფლება ისე მოექცეს ფაშოდს, როგორც ეგვიპტეს ნაწილს და თუ საჭირო იქმნა ძალაც იხმაროს. სირდარი ჰფიქრობს განუცხადოს მარშანს დაუყოვნებლივ დასცალე ფაშოდიო; თუ ფრანგები იარაღს მიჰმართავენ, სირდარი იარაღითვე გასცემს პასუხს; ფაშოდას ძალით დაიპყრობენ.“

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის მთავრობამ უკვე აასრულა ინგლისის მოთხოვნილება შესახებ იმისა, რომ დაარსებულ იქმნას ბიურო ათეულის მოსაკრებად და დანგრეულ იქმნას სახლები, რომლებიდგანაც ინგლისელებს თოფები დაუშინეს.

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბრძანებია მიეცეს უფლება სახელმწიფო სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკს 1898—1899 წლებში სესხის გასაცემად მესამედ გამოსცეს $3^1/_2\%$ გირავნობის ფურცლები 100 მილიონისა, იმ პირობების თანხმად, რომლებიც დაწესებულია ორჯერ გამოცემულ $3^1/_2\%$—ან გირავნობის ფურცლებისათვის.

**პარიჟი.** 1 დივიზიის სარდალი გენერალი შანუარი დანიშნულ იქმნა სამხედრო მინისტრად; სენატორი გოდენი დანიშნულ იქმნა სამუშაოთა მინისტრად.

**ვენა.** ქუჩები გათენებიდგანვე აუარებელის ხალხით გაივსო; სამგლოვიარო მორთულობა მეტად სამწუხარო სანახავი იყო; ქუჩებში ფარნები დაანთეს. ყველგან დიდ-ონი მაშხალები ენთო. 4 საათზე ზარების რეკვა გაისმა და გოფბურგიდგან წამოვიდა სამგლოვიარო პროცესია, რომელსაც ხალხი თავ მოხდილი ეგებებოდა, პროცესიას წინ მიუძღოდნენ მხედარნი, ამათ მისდევდნენ სასახლის მსახურნი ცხენებითა, ეტლებით და ფეხით, შემდეგ თალხებით მორთული ამფიონი, რომელშიაც 8 ცხენი იყო შებმული; კუბო დაფარული იყო ყვავილებით; ამფიონს მისდევდნენ ლეიბ-მსახურნი პაჟები ანთებულის სანთლებით, იმპერატორი ფრანც იოსები, უცხოელნი სტუმარნი, უმაღლესი სამღვდელოება და მოხელენი. მინისტრები და პალატების პრეზიდენტები პროცესიას ელოდნენ კაპუცინთა ეკკლესიაში. კუბო ეკკლესიის შუაგულში დასდგეს მაღლობზედ. პანაშვიდის შემდეგ კუბო ჩაასვენეს აკლდამაში, სადაც წარმოთქმულ იქმნა უკანასკნელი ლოცვები; ამ დროს კაპუცინები გალობდნენ. იმპერატორი, ერცჰერცოგი სალვატორი და აქ მყოფნი ბავარიის პრინცები აკლდამაში შევიდნენ; შემდეგ იმპერატორი ფრანც-იოსები და იმპერატორი ვილჰელმი გოფბურგში წაბრძანდნენ ეტლით.

7 სექტემბერი

**იალტა.** 6 სექტემბერს გემით „შტანდარტით“ მობრძანდნენ ბათუმიდგან და წაბრძანდნენ თავიანთ მამულში აი-ტოდოროს დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე თვისის მეუღლითა და შვილებითურთ.

**ვენა.** „Iolitische corr.“-ს სწერენ: სარწმუნო წრეებში ლაპარაკობენ, რომ იტალიის მთავრობას განზრახვა აქვს კონფერენცია მოახდინოს შესახებ იმისა, რა ღონისძიებანი უნდა იყოს მიღებული ანარქისტების წინააღმდეგ.

**პარიჟი.** უფროსერის გაზეთს უხარიანთ მინისტრთა საბჭოს გარდაწყვეტილება და ამბობენ, რომ ეს ღონისძიება დაამშვიდებს საზოგადოებას და გუშინდელი გარდაწყვეტა კრებისა პირველი ნაბიჯია დრეიფუსის საქმის ხელ მეორედ გარჩევისა. საღამოთი სხვა და სხვა გაზეთების რედაქციების წინ ხალხი შეიკრიბა და ჰყვიროდნენ „გაუმარჯოს ბრისონს! გაუმარჯოს საქმის ხელ-მეორედ განხილვას! აგრეთვე ჰყვიროდნენ „შორს ჩვენგან ბრისონი! არ გვინდა ხელ-მეორედ განხილვაო!“

**კანდია.** ადმირალს ნოელს ხელში გადასცემენ კიდევ 11 დამნაშავეს, მათ შორის მეტული არაპის, რომელმაც სტავრომენთან ერთად ჰმეთაურობდი იმ ხალხს, რომელიც თავს დაეცა ინგლისის ბანაკსა და ინგლისის საელჩოს. სტავროლენი ჯერ დაპატიმრებული არ არის.

**პეკინი.** მარკიზი იტო სადარბაზოდ იყო ძუნ-იან-იამენში. სამშაბათს იმპერატორთან იქმნება.

**კანეა.** კრიტის ათას მცხოვრებ მაჰმადიანებმა, კანდიის იქით სიმაგრეები გამართეს,—უეჭველად იმიტომ, რომ ეშინოდათ უწესოებისათვის დასჯისა. ჰფიქრობენ, რომ ინგლისელები კრიტის მცხოვრებ ქრისტიანებს მიჰმართავენ ამ მაჰმადიანთა წინააღმდეგ მოქმედებისათვის.

**კანდია.** სულთანის ბრძანებით, ჯევათ-ფაშამ მისწერა ედჰემ-ფაშას ნოელის წინადადების თანხმად, იარაღი დაწყობილ იქმნას იმ ნავთ-სადგურის შესავალში, რომელიც ინგლისის ჯარს უჭირავს. ხმა დადის, რომ ოსმალეთის ჯარს გაიყვანენ ქალაქიდგან, რომელსაც ინგლისელები დაიჭერენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბალანსი

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 1 ივლისისათვის 1898 წლისა

### აქტივი

| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასსაში | | 73,509 | 57 | | |
| გირავნობის ფურცლებით | | 55,800 | — | | |
| კუპონების ახალ ფურც. ბანკ გირავ. ფურც. შესაცვ. | | 79,500 | — | | |
| ძველის ტალონებით გირავნობის ფურც., რომელნიც დანიშნულნი არიან მოსასპ. | | 23 500 | — | 232,309 | 57 |
| 2) მიმდინარე ანგარიშ. სხვა-და-სხვა ბანკებში | | 557,933 | 90 | | |
| 3) ტფილისის სიურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში შეტანილი | | 20,600 | — | | |
| ა, კორესპონდენტებთან ნაღდად | | 115 802 | 32 | 691,336 | 22 |
| ბ, კორესპონდენტებთან გირავ. ფურცლებით | | | | | — |
| გ, საწევრო შესატანი ტფილ. საურთ. სამეურნეო კრე- | | | | 239,400 | — |
| დიტის საზოგად. | | | | 250 | |
| 4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები და გარდამავალნი: | | | | | |
| ა, სახელმწ. და მთავრობის უზრუნველ ყოფილი ქაღალდები | | | | | |
| შენახულნი სახელმწ. ბანკ. ტფილ. განყოფ. | 52,600 | 49,175 | 42 | | |
| ბ, % ქაღალდები სათადარიგო თანხისა | 337,000 | 287,844 | 30 | | |
| გ, კორესპონდენტებთან | 19,7 0 | 17,325 | 13 | | |
| % ქაღალდები შენახ. სახელმწ. ბანკ. გირავნ. ფურცლების უზრუნველ საყოფელად | 616,100 | 609,831 | 25 | | |
| დ, დანარჩენი ფასიანი ქაღალდები | 43,000 | 46,986 | 29 | | |
| ამათი სარგებელი | | 3,292 | 58 | 1,014,454 | 97 |
| 5) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 17 თებერვალის 1881 წ. წესდების ძალით და უზრუნველ-ყოფილნი გირაოდ მიღებულ მამულების ურთიერთ-შორის თავდებობით: | | | | | |
| ა, მამულის გირაოზედ 54 წ. 6 თვით | 109,112—60 | | | | |
| ბ, „ „ 61 წ. 8 თვით | 1,963,899—81 | | | | |
| გ, „ „ 48 წ. 8 თვით | 6,714—11 | | | | |
| დ, „ „ 9 წ. 10 თვით | 1,000—67 | | | | |
| ე, „ „ 43½ წლით | 529,663 - 64 | | | | |
| ვ, „ ქალაქის უძრავ მამულის გირაოზედ 36 წ. 4 თვით | 12,468,546—25 | | | | |
| ზ, „ 27½ წლით „ „ | 1,513,606—57 | | | | |
| ჱ, „ 29 წლით 9 თვით „ „ | 55,884—32 | | | | |
| თ, „ 16 წ. 11 თვით „ „ | 260,242—51 | 16.908,670 | 48 | | |
| ვადაზედ გარდახდილი სესხი | 130,261—23 | | | | |
| ვადამდე გარდახდილი სესხი ნაღდის ფულით | 33,768—29 | 164,029 | 52 | 17,072,700 | — |
| 6) სესხნი, გასაცემად დანიშნულნი | | | | 51,300 | — |
| გირავნობის ფურცელნი, რომელნიც გამოცემ. არიან კონვ. გაცემ. სესხით | | | | 1,065,000 | — |
| 7) შეღავათიანი გარდასახ. (§ 13 წესდ.): | | | | | |
| ა, დიდ-ვადიანის სესხისა | | 390,755 | 97 | | |
| ბ, მოკლე ვადიანის სესხისა | | 9,534 | 45 | 400,290 | 42 |
| გ, დანაწილებულნი შესატანი | | | | 2,269 | 22 |
| 8) ვადას გადაცილებული შესატანი | | | | 10,432 | 70 |
| ვადა გახანგრძლივებულისა და გადატებულისა | | | | 122 | 50 |
| ჯარიმა ვადაზედ შემოსატანის დაგვიანებისათვის | | | | 5,051 | 94 |
| 9) მოკლე-ვადიანი სესხნი | | | | 346,138 | 95 |
| 10) დასაბრუნებელი ხარჯი | | | | 19,377 | 08 |
| 11) კუპონების ფული, ვადამდე გარდახდილი | | | | | |
| 12) 5% სახელმწიფო გარდასახადი კუპონებისა | | | | | |
| 13) კუპონებსა და ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებზედ გარდახდილი | | | | 21,151 | 46 |
| 14) ხარჯი: | | | | | |
| ა, ბანკის მომართვა მოწყობისა. | | 8,406 | 83 | | |
| ბ, მართვა გამგეობისა | | 36,418 | 15 | 44,824 | 98 |
| 15) ხარჯთ-აღრიცხვით დანიშნული ფული ტფილისის სათავად-აზნაურო და წინამძღვრიანთ-კარის სასწავლებლებისათვის, რომელიც დაბრუნებულ უნდა იქმნას საზოგადო საჭიროების თანხიდგან | | | | 47,043 | — |
| 16) სასოფლო-სამეურნეო უკან-დასაბრუნებელი თანხა | | | | 5,000 | — |
| ბალანსი | | | | 21,271,453 | 01 |

### პასივი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა, დიდ-ვადიანის სესხისათვის | 190,846 | 75 | | |
| ბ, მცირე-ვადიანის სესხისათვის | 290,167 | 33 | 481,014 | 08 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა, სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით | 32,975 | 92 | | |
| ბ, ურთიერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა | 304,997 | 19 | 337,973 | 11 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის | | | 64,606 | 67 |
| 4) სამეურნეო თანხა | | | 14,968 | 59 |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა | | | 10,209 | 18 |
| 6) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულნი არიან ურთიერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა: | | | | |
| 5% — 61 წ. და 8 თვით | 57,700 | | | |
| 5% — 48 წ. და 8 თვით | 2,900 | | | |
| 5% — 36 წ. და 4 თვით | 904,400 | | | |
| 5% — 29 წ და 6 თვით | 24,800 | | | |
| 5% უვადოდ | 14,867,300 | | 15,857 100 | — |
| 5% —, რომელიც უნდა გამოცემულ იქმნას მე-6 კონვერსიით ტირაჟში ჩაგდებულ 6% გირავნობის ფურცლების ნაცვლად | | | 1,065,000 | — |
| 7) გირავნობის ფურცლები, ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რომელიც სარგებლიდგან გადადებულ იქმნა, წესდების მე-89 § ძალით, არა-სავალდებულო გარდასახადის მოსასპობლად | | | 150,600 | — |
| 8) გირავნობის ფურცლები გამოსაცემად დანიშნულნი | | | 51,300 | — |
| გირავნობის ფურცლები ექსპედიციის მიერ გამოცემულნი | | | 28,000 | — |
| 9) გირავნობის ფურცლები მობარებული | | | 2,200 | — |
| 10) ვადამდე მოსასპობად დანიშნულნი სესხნი: | | | | |
| ა, გირავნობის ფურცლებით | 142,200 | | | |
| ბ, ნაღდის ფულით | 33,768 | 29 | 175,968 | 29 |
| 11) ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლები: | | | | |
| 6% | 134,250 | — | | |
| 5% | 352,900 | — | | |
| 6% გირავნობის ფურცლები ტირაჟში გამოსულნი 1-ლის გაძლიერებულის კონვერსიით | 4,200 | — | | |
| მეორე კონვერსიით | 10,800 | — | | |
| მესამე კონვერსიით | 23,800 | — | | |
| მეოთხე კონვერსიით | 10,900 | — | | |
| მეხუთე კონვერსიით | 23,100 | — | | |
| მეექვსე კონვერსიით | 1,065,000 | — | 1,624,950 | — |
| 12) გირავნობის ფურცლების გარდასახდელი კუპონები: | | | | |
| 6% | 33,402 | 80 | | |
| 5% | 417,081 | 13 | 450,483 | 93 |
| 13) სარგებლის ფონდი: | | | | |
| 5% | | | 426.572 | 10 |
| 14) თავნის გასატუმრებელი ფონდი: | | | | |
| 5% — 61 წ. 8 თვით | 140 | 10 | | |
| 5% — 48 წ. 8 თვით | 11 | 19 | | |
| 5% — 36 წ. 4 თვით | 6,954 | 98 | | |
| 5% — 29 წ. 6 თვით | 319 | 86 | | |
| 5% — უვადოდ | 122,835 | 10 | 130,261 | 23 |
| 15) თავნის გასატუმრ. ფონდი არა—სავალდებ გარდასახ. იმ გირაოს ფურცლ., რომლებიც ურთიერთ შორის თავდებობით არის გამოცემული | | | 18,119 | 57 |
| 16) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა, ნაღდის ფულით | 35,829 | 28 | | |
| ბ, ამ თავით გარდახდილი მეორე ნახევარ წლის შემოსატანი | 1,119 | 55 | | |
| გ, გირავნობის ფურცლებით | 121,400 | — | | |
| დ, სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებით | 400 | — | 158,748 | 83 |
| 17) მოკლე-ვადიან სესხის სარგებელი | | | 12,444 | 22 |
| 18) მისესხებელნი. | | | 4,242 | 72 |
| 19) ბანკის მართვა-გამგეობის ხარჯის თანხა | 70,756 | 99 | | |
| 20) დაფასებისა და სხვა ხარჯის თანხა | 6,080 | 94 | | |
| 21) ჯარიმა | 13,971 | 22 | | |
| 22) სხვა და სხვა სარგებელი. | 12,524 | 38 | 103,333 | 53 |
| 23) კუპონების ახალი შესაცვლელი ფურც. | 79,500 | — | | |
| 24) ძველი გასაუქმებელი ტალონები | 23,500 | — | 103,000 | |
| 25) 5% სახელმწიფო გარდასახადი კუპონებისა. | | | 356 | 96 |
| ბალანსი | | | 21,271,453 | 01 |

Дозволено цензурою, Тифлисъ 7 го Сентября 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.